მოგილოცავთ დღესასწაულს, მეშახტეებო!

ჩვენი ნვლილი შახტმშენებლობაში

ტყიბულშახტმშენის სამმართველოს კოლექტივის თვითეული წევრი ერთი აზრით არის გამსჭვალული — სახალხო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდეს საქართველოს კომპარტიის XII ყრილობას. სამთო ბანებში, ცვლებსა და ბრიგადებში ყრილობის პატივსაცემად ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

კომუნისტური შრომის მებრძოლთა ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 20 კაცისგან შედგება. მიმდინარე წლის დასაწყისიდან ბრიგადამ ტრადად საპატიო დავალება მიიღო: შემჭიდროებულ ვადაში აგვშენებინა ორჯონიკიძის სახელობის შახტის მეორე ეალი სამთო ჰორიზონტი. თავი არ შეგვიტყვინია. ძირითადი სამთო გამონამუშევრის გაყვანის შვიდი თვის დავალება 115 პროცენტით გავანადღეთ. ბრიგადის თვითეული წევრის შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით ავამაღლეთ, ხოლო გრძივი მეტრი სამთო გამონამუშევრის თვითღირებულება 9 მანეთით შევამცირეთ.

ათი აგვისტოდან შევუდექით ახალი ჰორიზონტის ყველაზე რთული ნაგებობის — შახტის ეზოს მშენებლობას. მის დამთავრებას 1,5 თვე სჭირდება. ახლებურად მოვაწყეთ მუშაობა — გადავედით ციკლურ გრაფიკზე. ამან მნიშვნელოვნად დააჩქარა სამთო გამონამუშევრების გაყვანა. ვფიქრობთ, რომ ამ მშენებლობას 15 დღით ადრე დავამთავრებთ.

ამ დღეებში გავეცანით ზესტაფონელი მეტალურგების თაოსნობას — გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად. ბრიგადაში ავწონ-დავწონეთ შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ:

სამთო გამონამუშევრების გაყვანის წლიური გეგმა შევასრულოთ ყრილოგის გახსნის დღისათვის;

ყოველთვიურად მიეაღწიოთ 160 გრძივი მეტრის გაყვანას. ეს ორნახევარჯერ აღემატება დავალებას;

ბრიგადის თვითეული წევრის შრომის ნაყოფიერება ავამაღლოთ 16 პროცენტით;

გრძივი მეტრი სამთო გამონამუშევრის თვითღირებულება შევამციროთ 50 მანეთით;

გაყვანის პროფესია შევასწავლოთ 15 კაცს.

პ. კანკაძე,
ტყიბულშახტმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა შეასრულა რვა თვის გეგმა

ტყიბული, 24 აგვისტო. (საკადესი). ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა ვადადე რვა დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების 8 თვის საწარმოო გეგმა. ამოღებულია 74 ეფელონით მეტი ქვანახშირი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. 4,6 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულია 1,2 პროცენტით.

სურათზე: „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის მეექვსე შახტის უფროსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ღვინჯილია (მარცხნიდან მეორე) შახტაში ჩასვლის წინ დაცალებას აძლევს უბნის უფროსს რ. ეფსეულიძეს, ცვლის ოსტატს გ. კეცინიას და ბრიგადირს ვ. ზუხბაიას.

ფოტო ა. ჭითანავასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 44-ე წელი | № 199 (12711) | კვირა, 25 აგვისტო, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ

მეშახტის დღესთან დაკავშირებით და სამთო მრეწველობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ბირბიჭაძე** იური შიოს-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ითხვისის მაღაროთა-სამმართველოს მემანქანე;
2. **გედევანიშვილი** ოთარ პარმენის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გასამზედროებული სამთო საშველი ნაწილის უფროსი;
3. **გვინცელაძე** აღექსანდრე ნიკიფორეს-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ დიმიტროვის სახელობის მაღაროთასამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილე;
4. **დრიაევი** სერგო თედოს-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 3 შახტის მებიგე;
5. **ივანოვი** ათანასე ანდრიას-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კალინინის სახელობის მაღაროთასამმართველოს მებიგე;
6. **კვანტიძე** ეორა ტრიფონის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ახალი ითხვისის მაღაროთასამმართველოს მებიგე;
7. **კიპაროიძე** ამბროსი გრიგოლის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ლენინის სახელობის მაღაროთასამმართველოს მბურღავი;
8. **მეგერიანი** გაგიკ მიკირტიჩის-ძე — ახალციხის მაღაროთასამმართველოს № 1 შახტის ამწმენდი;
9. **მიროტაძე** გრიგოლ ბესარიონის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კაპიტალური რემონტების კანტორის სამთო სამუშაოების უფროსი;
10. **პაპუაშვილი** აღექსანდრე იაგორის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს ელექტროზენიკალი;
11. **რეხვიაშვილი** შოთა ისმაილის-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 6 შახტის ხე-ტყის მომწოდებელი;
12. **საღინაძე** ვლადიმერ ევგენის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთასამმართველოს პეროქსიდული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის უფროსი;
13. **სერგიენკო** ვასილ იაკობის-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 5 შახტის ვენტილატორმაგამყვანთა ბრიგადირი;
14. **ტეფნაძე** ილია კონსტანტინეს-ძე — ახალციხის მაღაროთასამმართველოს № 1 შახტის ამწმენდი;
15. **ქუთელია** მიხეილ იანქოს-ძე — ტრესტ „ტყვარჩელქვანახშირის“ № 5 შახტის გამყვანი;
16. **ყიფშიძე** პოლიკარპე პარმენის-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთასამმართველოს ამწმენდი.
17. **შუკაკიძე** ნიკოლოზ მოსეს-ძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ პეროვსკის მაღაროთასამმართველოს ამწმენდი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ალფენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
ქ. თბილისი, 1963 წლის 24 აგვისტო.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ კ. კ. მარჯანიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მათემატიკის დარგში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს პროფესორი მარჯანიშვილი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 24 აგვისტო.

მეშახტეთა შრომა

დ. ჩიკვაიძე,
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი.

დღეს ჩვენი დიდი ქვეყნის მეშახტეები თავიანთ ადიდებულ დღესასწაულს — შახტის დღეს აღნიშნავენ იმ ოს, როცა გმირი საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს პარტიის XXII ყრილობის მიერ დაყენებულ პროგრამას. საერთო წარმატებაში ფია ჩვენი რესპუბლიკის მეშახტეებისა და ტყმშენებლების წვლილი. მათ ქვანახშირის გაძოღების რვა თვის გეგმა უკვე შესრულეს და გეგმის გადამეტებით რაოდენობიუული ეშელონი მაღალხარისხოვანი ქვანახშირი გამოიღეს.

ეიდი მუშაობაა გაწეული ქვანახშირის შახტში სათბობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. განხორციელებულ ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა შედეგად ამოღებული ნახშირის საცრიანობა ძიმდინარე წლის 1958 წელთან შედარებით შემცირდა ბროცენტით, ხოლო საკუსე კონცენტრატის 3 პროცენტით გაიზარდა. ეს იძლა ნიშანს, რომ ჩვენ ამჟამად აღარ გადაგვაქვს ათას ტონაზე მეტი ფუჭი ქანი, ყოველწლიურად ბრუნვიდან გთავისუფლდა 10 ასამდე რკინიგზის ვაგონი.

ტყიბულის გამამდიდრებელმა ქარხანამ ეგისა ნახშირის წვრილი კლასიდან ბრიკეტების წარმოება, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს რესპუბლიკის მოსახლეობის ბარაგებს სათბობით.

ავისი ხასიათით სამთამადნო მრეწველობა მიეკუთვნება სახალხო მეურნეობის ერთ ძრომატევად დარგს, სადაც პროცესის თვითღირებულებაში ნაევარზე ეა შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ჯები შეადგენს.

სამთო მრეწველობაში შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონა ეთღირებულების თვითღირებულებაში გაცილებით მეტია, ვიდრე მეტალურგიულ, ქიმიურ, ენერგეტიკულ-ელექტროენერგეტიკულ და სხვა ბებში.

ამასთან დაკავშირებით სამთამადნო მრეწველობის საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ახალი ტექნიკის ეფექტიანად დანერგვა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს. ამამრთულებთან უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში შეიქმნა 200-ზე მეტი სახის ეფექტური წარმადობის სამთო მანქანები და მექანიზმები.

ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის სამთამადნო მრეწველობაში, კერძოდ შახტებში გაწეულია ეგეფული მუშაობა. მთლიანად მექანიზებულია ისეთი შრომატევადი სამუშაოები, ეგრეც არის ნახშირის გამოზიდვა და გატანა. გასულ წელს ტყვარჩელის შახტებში ათვისებულ იქნა სასულელის (აღმავალი ეთ გამონამუშევრების) გასაყვანად საეგ-საკვეთი მანქანები; ტყიბულის შახტებში საგრძნობლად გაიზარდა ნახშირის ეგება ჰიდრავლური ვსებით.

ამავალი ტექნიკის დანერგვისა და შრომატეფილი პროცესების განხორციელების შედეგად 1963 წელს სამთო გამონამუშევრების ეანის ტემპები 1958 წელთან შედარებით ეა პროცენტით გაიზარდა. ასევე საგრძნობლად გაიზარდა წმენდითი სანგრევების წილა, რითაც მიღწეულ იქნა სამთო სამუშაოების კონცენტრაცია და შემცირდა მათი ეანის მოცულობა. ამის შედეგად მარტო ეანის ძიმდინარე წელს დამმარე სამუშაობებიდან ეა ეაგროსუფლდა და ძირითად სამუშაოებზე ეა ეანელი იქნა 150 კაცი, რის შედეგადაც ეა ეარძლობლად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

ეა განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შუშის შრომის ნაყოფიერების გეგმა მიეა ეანის ძიმდინარე წლის შვიდ თვეში შესრულებულია 103,7 პროცენტით, 1962 წელთან შედარებით კი მისი დონე გაიზარდა 5 პროცენტით, ხოლო ერთი ტონა ნახშირის ამოღების თვითღირებულება გეგმასთან შედარებით ეა ეაცირდა 6 კაპიკით.

ეა ეამიდინარე წელს 1958 წელთან შედარებით ეა ეარავჯერ შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, ეა ეარლებიც გეგმებს ვერ ასრულებდნენ, ეა ეაეგეგმით გათვალისწინებული ზარალის ეა ეა ითქმის ერთი მეოთხედით შემცირდა. ეა ეაეინერ-ტექნიკოსებთან და მუეა ეა ეოვატორებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი და ეა ეა ეროექტო ინსტიტუტები დიდ მუშაობას ეა ეეიან ქვანახშირის ამოღების ახალი მოეა ეა ეავე ტექნოლოგიის დამუშავებისათვის და ეა ეტებში დანერგვისათვის.

ეა ეაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადეეა ეა ეის სამთო საქმის სამეცნიერო-საკვლევი ეა ეინსტიტუტის კოლექტივი წარმოების მუშაეა ეა ეთან მჭიდრო თანამეგობრობით მუშაობს ეა ეარჩელში სქელი ფენების რაციონალური ეა ეუშავების სისტემის დასადგენად, ინერგეეა ეა ეზესტაფონელი მეტალურგების თაოსნობას — გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად. ბრიგადაში ავწონ-დავწონეთ შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ:

სამთო გამონამუშევრების გაყვანის წლიური გეგმა შევასრულოთ ყრილოგის გახსნის დღისათვის;

ყოველთვიურად მიეაღწიოთ 160 გრძივი მეტრის გაყვანას. ეს ორნახევარჯერ აღემატება დავალებას;

ბრიგადის თვითეული წევრის შრომის ნაყოფიერება ავამაღლოთ 16 პროცენტით;

გრძივი მეტრი სამთო გამონამუშევრის თვითღირებულება შევამციროთ 50 მანეთით;

გაყვანის პროფესია შევასწავლოთ 15 კაცს.

პ. კანკაძე,
ტყიბულშახტმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

მეშახტეები—საქართველოს კპ XXII ყრილოგის შესახვედრად

გულითადი შეხვედრები

ნ. ს. ხრუშჩოვი იუგოსლავიაში

დუბროვნიკი, 23 აგვისტო. საკადესის კორესპონდენტები დ. გოჩაროვი და ი. ტიტოვი იტყობინებიან:

ცეტინიეს მცხოვრებლები დიდი გულითადობითა და გულთბილობით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, ი. ბროზ ტიტოსა და მათ თანმხლებ პირებს. სანატორიუმ სტუმარი ეწვია ჩერნოგორიის სახელმწიფო მუზეუმს და დიდი ყურადღებით დაათვალიერა მუზეუმის ექსპონატები, რომლებიც ასახავენ ჩერნოგორიის თავისუფლებისმოყვარე ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ნიკიტა სერგეის-ძემ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ექსპონატებისადმი, რომლებიც მოწმობენ რუსი ხალხისა და ჩერნოგორიის ხალხის ისტორიულ ურთიერთობასა და ძმურ მეგობრობას.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელი მოაწერა სანატორიუმ სტუმართა წიგნში. წიგნში ჩანაწერი დატოვა აგრეთვე ი. ბროზ ტიტომ.

შემდეგ სანატორიუმ სტუმრები მანქანებით გაემგზავრნენ ზღვისპირა ქალაქ კოტორში. აქ ნ. ს. ხრუშჩოვი და იოსიპ ბროზ ტიტო, რომლებსაც გულთბილად მიესალმებოდნენ მცხოვრებლები, ავიდნენ იახტა „ვალებზე“. ხომალდზე შესრულდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სახელმწიფო ჰიმნები. ნ. ს. ხრუშჩოვმა და იოსიპ ბროზ ტიტომ ჩამოუარეს სამხედრო მეზღვაურთა სანატიო უარაულის მწყობრს. „ვალები“ გაემართა ადრიატიკის ზღვაში და კურსი აიღო ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ვალებს ახლავან საესკადრო ნაღმოსნები „სპლიტი“ და „პულა“.

დაახლოებით 18 საათზე იუგოსლავიის დროით ნ. ს. ხრუშჩოვი, იოსიპ ბროზ ტიტო და მათი თანმხლები პირნი ჩამოვიდნენ დუბროვნიკში — ისტორიულ ზღვისპირა ქალაქში ადრიატიკის სანაპიროზე.

დუბროვნიკში სანატორიუმ სტუმრებს შეხვდნენ ხორვატიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბაკარიჩი, ხორვატიის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე მ. შპილაკი, ადგილობრივ ხელისუფალთა ხელმძღვანელები. ნავსადგურში ჩამწკრივებული იყო სამხედრო მეზღვაურთა სანატიო ყარაული.

ნ. ს. ხრუშჩოვი, ი. ბროზ ტიტო და მათი თანმხლები პირნი გაეცნენ დუბროვნიკის ღირსშესანიშნაობებს და შემდეგ „ვალებით“ გაემგზავრნენ სპლიტში.

სპლიტი, 24 აგვისტო. საკადესის კორესპონდენტები დ. გოჩაროვი და ი. ტიტოვი იუწყებიან:

დღეს დილით იახტი „ვალები“, რომელზეც იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, გაჩერდა სპლიტის ნავსადგურში.

ნავსადგურში მდგომი ხომალდები გაბმული საყვირით მიესალმნენ „ვალებს“ ლი შტატების წარმოების დონეს.

კომუნისტებს, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სრული საფუძველი აქვთ თქვან, რომ ისწავლეს სოციალიზმის უპირატესობათა გამოყენება თავიანთი ქვეყნების შიგნით, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ იმ უდიდეს უპირატესობებს, რომელთაც საფუძვლად უდევს თვით ფაქტი სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობისა, რომელთაც საფუძვლად უდევს ის, რომ შესაძლებელია უაღრესად ფართო თანამშრომლობა ყველა სოციალისტურ ქვეყანას შორის.

გამოცდილებამ ცხადყო, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ ევროპის სოციალისტური ქვეყნების სამეურნეო კავშირურთიერთობა, რომელიც უკანასკნელ დროს სულ უფრო ვითარდება, ძალიან კარგ შედეგებს იძლევა. უკვე ახლა ვხედავთ იმ საწარმოთა დიდ სარგებლიანობას, რომლებსაც კოლექტიურად შექმნიან სოციალისტური ქვეყნები. მაგალითად, ჰიდროელექტროსადგურებს დუნაიზე ერთად აშენებენ უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და იუგოსლავია, რუმინეთი და ბულგარეთი. საბჭოთა კავშირი ახორციელებს თანამშრომლობას მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებთან ფოსფორიტების, კალიუმის სასუქებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების განვითარებაში, ყოველივე ეს, რასაკვირველია, მხოლოდ მცირე წილია იმისა, რაც გათვალისწინებულია განსახორციელებლად.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამაც გამოიჩინა მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს შრომის სოციალისტურ დანაწილებაში, რაც ახლა ეწყობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდება იუგოსლავიის საგარეო ვაჭრობა სოციალისტურ ქვეყნებთან. ნ. ს. ხრუშჩოვმა მაგალითად მოიყვანა სპლიტის გემთსაშენი. ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა მან, დიდად ვაფასებთ შესანიშნავ ტანკერებს, რომლებსაც თქვენ უშვებთ საბჭოთა კავშირისათვის, და დაინტერესებული ვართ, რომ გაიფართოოთ გემების წარმოება ჩვენი ქვეყნისათვის.

ვფიქრობთ, რომ ეს ხელსაყრელია ჩვენგრიც საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც იღებს მისთვის საჭირო გემებს, ისევე იუგოსლავიისათვის, რომელიც იძენს მყარ ბაზარს თავისი პროდუქციის გასაღებლად. უფრო მეტიც, ჩვენი ექსპერტების აზრით, იუგოსლავიის გემთსაშენებს შეუძლიათ არა მარტო შეასრულონ ცალკეული შეკვეთები გემებზე საბჭოთა კავშირისათვის, არამედ დასპეციალდნენ გარკვეული ტიპის გემების მშენებლობაში, რაც, უეჭველია, ხელს შეუწყობს წარმოების უფრო ხელსაყრელ ორგანიზაციას. ჩვენ ეს მიგვაჩნია კარგ ნაბიჯად ჩვენი ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაში.

სოციალიზმი, რომლის მშენებლობა კაცობრიობის ერთი მესამედისათვის უშუალო პრაქტიკის საქმედ იქცა, თქვა შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა, მშვიდობის ყველაზე საიმედო ბურჯია. ქვეყნად სოციალიზმის ძლევამოსილი ხვლის ისტორია ამავე დროს არის ისტორია ყველაზე შეუპოვარი ბრძოლისა იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობისათვის, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის. ჩვენ, კომუნისტებს, შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ ომისა და მშვიდობის საკითხში, რომელიც ფართო მასების ყველაზე საარსებო ინტერესებს შეეხება, სოციალიზმის უპირატესობა კაპიტალიზმზე განსაკუთრებით ნათლად და დამაჯერებლად გამოვლინდა.

სოციალიზმის ქვეყნები მშვიდობისათვის მუშათა კლასი, მშრომელები, კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული ქვეყნების ხალხები, ქვეყნად ძველი მშვიდობისმოყვარე ძალები. ის, რომ დღეს კაცობრობა მშვიდობის პირობებში ცხოვრობს, ყველაზე მთავარი და ყველაზე თვალსაჩინო ძაჩვენებელია ხალხთა წარმატებითი ბრძოლისა მშვიდობისათვის, რომელსაც კომუნისტები მეთაურობენ.

სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის უეჭველი წარმატება იყო ხელოვნური ხელმეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსური სივრცეში და წყალქვეშ.

რასაკვირველია, ეს ხელშეკრულება თავისთავად ჯერ კიდევ არ ნიშნავს რამდენადმე სერიოზულ ნაბიჯს განიარაღების გზაზე. მსოფლიოს ყველა ხალხს უნდა ახსოვდეს ეს და არ ანებებდეს თავის ღონისძიებებს განიარაღებისათვის ბრძოლაში. ეს ამოცანა კვლავ დგას კაცობრობის წინაშე, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და დიდმნიშვნელოვანი.

ბაგრამ ხელშეკრულების დადებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ცხადყოფს, რომ ჩვენს დროში სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ვითარებაში შეიძლება მშვიდობიანად მოწესრიგდეს მწვავე საერთაშორისო პრობლემები. თუმცა მოსკოვის ხელშეკრულება მხოლოდ პირველი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე, მაგრამ ეს ნაბიჯი გულში იმედს უნერგავს ადამიანებს და აღაფრთოვანებს მათ შემდგომი ბრძოლისათვის ქვეყნად მშვიდობის საქმის განსამტკიცებლად.

ჩვენ, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ აბსოლუტურად მეტ წილ საერთაშორისო პრობლემებში საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის პოზიციები თან ემთხვევა ერთმანეთს. ეს გასაგებია, რადგანაც ჩვენი ხალხების საერთო მიზნებს სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში განსაზღვრავს სსრ კავშირის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის ერთობა. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის შეხედულებათა და მოქმედების ერთიანობა საერთაშორისო არენაზე მსოფლიო პოლიტიკის არსებითი ფაქტორია. იგი ხელს უწყობს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განვითარებას ყველა ხელმწიფის ურთიერთობაში. ამიტომ ჩვენი ხალხების უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა იყოს ბრძოლა კავშირურთიერთობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

თავისი სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა გამარჯვება უსურვა იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა მქუხარე ხანგრძლივი ტაში, შეძახილები: „ვაშა!“. მიტინგის მონაწილენი ერთხმად გაიძახოდნენ: „გმირი ხრუშჩოვი!“, „გმირი ხრუშჩოვი!“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა სპლიტის გემთსაშენის კოლექტივს გადასცა საჩუქრები — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბიუსტი, რადიოლა და ალბომი ფოტოსურათებისა „ჩვენი სამშობლო“.

ქარხნის დირექციამ გემთმშენებელთა სახელით საბჭოთა სტუმარს მიართვა სურათი, რომელზეც აღბეჭდილია ქალაქი სპლიტი.

გემთსაშენიდან წასვლის წინ ნიკიტა სერგის ძე შეხვდა სპლიტში მყოფ საბჭოთა ტურისტებს და გულთბილად ესაუბრა მათ. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა და საბჭოთა ტურისტებმა უსურვეს ერთმანეთს კარგად დაისვენონ იუგოსლავიაში.

ნაშუადღევს საბჭოთა სტუმარი და მისი თანმხლები პირები სპლიტიდან ბრიონიზე გაემგზავრნენ.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო დუბროვნიკიდან გაემგზავრა ბრიონიზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც იუგოსლავიაში იმყოფება, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურ მდივანთან, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან იოსიპ ბროზ ტიტოსთან ერთად დათვალიერა 26 ივლისის მიწისძვრით დაზარალებული ქალაქი სკოპლე.

სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი და იოსიპ ბროზ ტიტო სკოპლეში.

ფოტო საკადესის სპეციალური კორესპონდენტის ვ. ეგოროვისა.

სსრ კავშირში გამოდის „იუგოსლავიის ისტორია“

დაიბეჭდა „იუგოსლავიის ისტორიის“ ორი ტომი, რომელიც მომზადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობის ინსტიტუტმა. პირველი ტომი მოიცავს იუგოსლავიის ხალხთა ისტორიას ძველესი დროიდან 1917 წლამდე. მეორე ტომში გაშუქებულია მოვლენები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან და 1918 წელს დამოუკიდებელი იუგოსლავიის სახელმწიფოს შექმნიდან მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებამდე.

არ უნდა გვყავდეს არც ერთი ჩაბორჩენილი მეურნეობა

„წინსვლა“ — მხოლოდ სახელად

• სწყალობენ თავმჯდომარეს, საქმეს კი... •

„წინსვლა“ ჰქვია ხაშურის საწამოო სამმართველოში შემავალ ერთ-ერთ გამსხვილებულ კოლმეურნეობას, რომელიც ექვს დასახლებულ პუნქტს — ღართას, ალწყაროს, სარტყელას, ღვრიაწყალს, პატარა და დიდ ხალებს ერთიანებს. სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ფერდობიანია, ამიტომ ამ კოლმეურნეობას მთის ზონას აკუთვნებენ ხოლმე.

ახლა იქ ალოობაა. პურეული სულ 120 ჰექტარზეა ასაღები. ეს დიდი ფართობი არ არის, მაგრამ ძველი მამაპაპური წესით — ცელებით მკა დიდძალ მუშახელს და დიდ დროს მოითხოვს. ომმკოლს ჯაურებად დგამენ (ასე უწოდებენ ბულულების მსგავსად დადგმულ ძირებს). მკას რომ მორჩებიან „ჯაურებს“ რამდენიმე ადგილას მოუყრიან თავს და გალეწავენ.

— აბა რა ექნათ, სხვა საშუალება არა გვაქვს! — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ალექსანდრე ლობჟანიძემ.**

— რა საშუალებაზე ამბობთ, კომბაინი არა გაქვთ?

— გვაქვს, მაგრამ...

— შესაკეთებელია?

— არა, ოღონდ ერთს ხედერი არა აქვს, თუმცა ესეც რომ იყოს, მაინც ვერ ვამუშაავებდით. პურეულის ყანები ფერდობიან და პატარა ფართობებში გვაქვს ასაღები! ჩვენთან თვითმავალი კომბაინი უფრო მოხერხებულად იმუშაავებს.

— მერე და თვითმავალი შეგაძენინათ, მისაბმელ კომბაინებს რათ ყიდულობდით?

— მე ასე დამხვდა.

— რამდენი წელია, რაც თავმჯდომარე ხართ?

— კოლმეურნეობათა გამსხვილებამდე ორი წელი ვიმუშაავე, მეორეც ახლა!

— თვითმავალი კომბაინის შეძენა თუ ვერ მოახერხეთ, სამკალი მინქანები მაინც გეყიდათ, ამით ხელით მძიმე შრომისაგან ბევრ მუშახელს გაათავისუფლებდით!..

— ვერ ვიშოვნეთ, თორემ კარგი იყო.

— გალეწვას რით ფიქრობთ, კევრებით?

— არა, კომბაინს სტაციონარზე ვამუშაავებთ და ისე გალეწავთ!

— ახლა მკის პარალელურად ასე გალეწოთ!

— მუშახელი არ გეყოფნის. ამიტომ ჯერ მკას ვაჩქარით.

კოლმეურნეობის ბუჰჰალტერმა **გიორგი გოგოლაძემ** გვითხრა: ჯერ მხოლოდ 14 ტონა მარცვლეული გვაქვს გალეწილი, ესეც მეზობელი კოლმეურნეობიდან დასახმარებლად მოსული თვითმავალი კომბაინით ავიღეთო.

მტკიცება არ უნდა, რომ პურეულის მოსავალს ასე ღება მძიმე და მომქანცველია, მარცვლის დიდ დანაკარგს იწვევს და მნიშვნელოვნად ზრდის პურეულის თვითღირებულებას. ნუთუ ეს ანბახური ჭეშმარიტება ხაშურში არაერნ იცის? რატომ არ სთხოვენ კოლმეურნეობა „წინსვლის“ გამგეობას მექანიზაციის დანერგვას?!

„წინსვლა“ სახელად არის, თორემ სოფლო-სამეურნეო არტელის არც ერთ დარგს ამ სიტყვის მნიშვნელობის ნიშანწყალიც არ ეტყობა.

წლევანდელი ბუნებრივი პირობები მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდ საშუალებებს ქმნის.

— შვიდ თვეში საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე რამდენი გაქვთ მოწველილი? — შეეკითხე თავმჯდომარეს.

— შვიდ თვეში, არა!?.. კეფის ფხანით წაილუღლუღა თავმჯდომარემ და მეორე ოთახში ბუჰჰალტერს გასძახა: — გიორგი, მანდ წიგნებში ჩაიხედე, რძე რამდენია მოწველილი.

— საფურაქე ძროხაზე?

— ჰოო...

— 300 ლიტრია, ალექსანდრე!

— გეგმით რამდენი უნდა მოგაწველათ? — კვლავ შეეკითხე თავმჯდომარეს.

ლობჟანიძემ ისევ ბუჰჰალტერს მიმართა.

— გიორგი, გეგმაც ნახე, თუ კაცი ხარ!

— გეგმით 580 ლიტრი რძე უნდა მიგეღო.

— ჩვენ ამ ფაქტს ასეთ ახსნას ვაძლევთ: ალექსანდრე ლობჟანიძე მაშინაც ადვილად შეეგუა ბედს, სოფელ კრასნეევის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან რომ გადაიყენეს (საერთო კრებამ ალარ აირჩია თავმჯდომარედ). ეს იყო 1956 წელს. შემდეგ რამდენიმე წელი აგროტექნიკოსად იმუშავა და „კეთილი ბიძების“ დახმარებით კვლავ ძველ სავარძელს დაუბრუნდა — სოფელ ხალების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია (ამ კოლმეურნეობაში კრასნეევში გადასვლამდეც მუშაობდა და თავი არაფრით გამოიჩინა).

კოლმეურნეობის ბუჰჰალტერიაში დეგი, ოღონდ ეს ბუნებრივი ამბავია, ეს ბუნებრივ ამბავ ... ...

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲓᲘᲓ ᲤᲝᲠᲣᲛᲖᲔ

• ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲛᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ •

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲤᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲨᲘ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ 17 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ. ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲗᲮ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲠᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ ᲛᲝᲬᲧᲝ „ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ. ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲔᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ 1957 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲑᲓᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲜᲔᲡ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ.

ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲨᲘ ᲘᲛᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ᲨᲔᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ (ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ) ᲓᲘᲓᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲐᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ. ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲗᲕᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲘᲡ 17 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲙᲜᲝᲑᲐᲥᲢᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲘᲗ ᲛᲝᲛᲠᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲐᲛᲐᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲨᲠᲐᲮᲐᲢ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲜᲘᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲛᲘᲗᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ

თქვენთვის, ჩვენო პატარებო!

ასეთი იქნება ახალი საგავშვო გაღეგი და გაგეგი

სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებების მშენებლობას დიდი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში. შენდება ახალი კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები და ბაგები, სადაც პატარები იზრდებიან, სწავლობენ. ამ დროს კი მათი მშობლები მუშაობენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში.

ახალი კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღისა და ბაგის შენობათა დაპროექტებაზე მუშაობენ „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის მე-7 სახელოსნოში. ამ საქმეს ხელმძღვანელობს არქიტექტორი თინათინ ფანიაშვილი. ნიჭიერმა არქიტექტორმა ქალმა შეიმუშავა ჩვენი რესპუბლიკისათვის საბავშვო ბაღისა და ბაგის ნაგებობათა ტიპური პროექტი.

მომავალი საბავშვო ბაღისა და ბაგის პროექტი წარმოადგენს ერთნაირი არქიტექტურული გეგმარებისა და კონსტრუქციული გადაწყვეტის მქონე რამდენიმე ბლოკს, რომელთა დაჯგუფება ხდება ფუნქციონალური ღანიშნულების მიხედვით. თვითეულ ბლოკში მოთავსებულია ბაღისა და ბაგის ჯგუფები. ბოლო ნაგებობა გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ-სამეურნეო სათავსების კომპლექსისათვის.

ყოველ საბავშვო ჯგუფს აქვს თავისი დამოუკიდებელი მისასვლელი, ოთახი ჯგუფისათვის, სატუალეტო. საწოლების შესანახი ოთახი, ვერანდა ჰაერზე ძილისათვის.

სამეურნეო-ადმინისტრაციულ ბლოკში, რომელიც შენობათა კომპლექსის ბოლოს არის მოთავსებული, შედის მისაღები, ექიმის ოთახი, დირექტორის კაბინეტი, მომსახურე პერსონალის ოთახი, იზოლატორი, სამზარეულო და სამრეცხაო ბლოკები, აგრეთვე საკუჭნაოები.

ბლოკები სამეურნეო მომსახურებისათვის ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ერთი გადახურული გადასასვლელით.

თვითეული ბლოკის შეტეხილ კონტურებში მოთავსებულია ჯგუფისათვის განკუთვნილი ეზო.

ბაღისა და ბაგის კომპლექსში გათვალისწინებულია ხეხილის ბაღი, ბოტანიკური და ზოოლოგიური კუთხეები, საცურავი აუზი, სასპორტო ბოდანი, ჰაერისა და მზის აბაზანების მისაღები. შენობათა კომპლექსში შეიდის აგრეთვე მუსიკალური ოთახი, სადაც იწარმოებს ბავშვთა მუსიკალური მეცადინეობა. ოთახის წინა კედელი ამინდში ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ სასპორტო მოედანზე ივარჯიშონ მუსიკის თანხლებით.

არქიტექტორ თ. ფანიაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებების ამ ტიპურ უნივერსალურ პროექტებს მაღალი შეფასება მისცა საკავშირო არქიტექტურის აკადემიამ და მშენებლობისა და არქიტექტურის საკავშირო კომიტეტმა.

—რა უპირატესობა აქვს ნაგებობის პავილიონურ გადაწყვეტას და რაში გამოიხატება მისი უნივერსალობა? — ამ კითხვით მივმართეთ პროექტის ავტორს თ. ფანიაშვილს.

— პროექტის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, — გვითხრა მან, — რომ საბავშვო ოთახებს აქვთ ორმხრივი განიავება. შენობის ორმხრივი ორიენტაცია საშუალებას იძლევა ნებისმიერ ნაკვეთზე მივიღოთ ჯგუფისათვის სასურველი განათება. ამავე დროს შენობათა კომპლექსი შეიძლება ნებისმიერად გადაეთდეს ბავშვთა რაოდენობის მიხედვით და აშენდეს ნებისმიერ ნაკვეთზე — ფერდობი იქნება ეს თუ სწორი ადგილი.

საერთოდ სკოლამდელი ასაკის ამ საბავშვო დაწესებულებების დაპროექტებაზე ჩვენ მესამე წელია ვმუშაობთ. უკვე დავასრულეთ 90-140, 185 ადგილიანი საბავშვო ბაღებისა და ბაგების სამუშაო ნახაზები. რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქში, თბილისში, მარნეულში, ბოლნისში, რუსთავში უკვე შენდება საბავშვო დაწესებულებები ამ პროექტების მიხედვით, აგრეთვე ეს პროექტები შევიდა თბილისის დაგეგმარების გენერალურ გეგმაში.

თ. ფანიაშვილი დიდ ყურადღებას აქცევს შენობის მხატვრულ სახეს, მას შემუშავებული აქვს თვითეული კომპლექტისათვის სხვადასხვა მხატვრული გაფორმების პროექტები. გაფორმებაში ფერთა ნაირსახეობასთან ერთად იგი იყენებს მხატვრულ ჩანახატებსაც. შენობათა ლამაზი მხატვრული სახე დიდად შეუწყობს ხელს ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას. არქიტექტორის ამ ჩანაფიქრს უთუოდ ანგარიში უნდა გაუწიონ საბავშვო დაწესებულებების მომავალმა მშენებლებმა.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათზე: საბავშვო ბაღისა და ბაგის ტიპური პროექტი, რომელიც 140 ბავშვისთვის არის გათვალისწინებული.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ძეგლთა საგანძური

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი 50 წლისაა

ქუთაისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჩვენი ერის მატერიალური კულტურის ძეგლთა ერთ-ერთ დიდ საგანძურს — ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს არსებობის 50 წელი შეუსრულდა.

ისევე როგორც ბევრი სხვა ძველი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, ქუთაისის მუზეუმიც ხალხის ინიციატივით, ხალხისავე სახსრებით არის შექმნილი.

ამ კეთილშობილური წამოწყების ინიციატორები სამუზეუმო ნივთებსა და ექსპონატებს აგროვებდნენ როგორც შემოწირულებათა სახით, ისე შესყიდვის გზით, ამასთან ექსპედიციებსაც აწყობდნენ და ამით საფუძველს უყრიდნენ დიდ ეროვნულ საქმეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე მუზეუმი სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად იქნა გადაკეთებული.

ქალაქის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა თავისი მუზეუმის არსებობის 50 წლისთავი.

სურათზე: მუზეუმის ექსპოზიციის ერთ-ერთი სტენდი, რომელზეც გამოფენილია ანტიკური ეპოქის ადამიანის სამარხის ინვენტარი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

სარედაქციო ფოსტიდან

☐ ამ დღეებში თბილისიდან რუმინეთსა და ბულგარეთში გაემგზავრა საქართველოს არქიტექტორთა სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფი.

ქართველი არქიტექტორები დაათვალიერებენ ბუქარესტის, კონსტანცის, სოფიის და სხვა ქალაქების ახალ მშენებლობებს, ისტორიულ ადგილებს, გაეცნობიან ამ ქვეყნებში სამშენებლო საქმეს და საკურორტო მშენებლობას.

☐ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მუშათა პროფკავშირის კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევს მაღაროელთა კულტურულ დასვენებას. ამას წინათ მაღაროელებმა მოაწყეს ექსკურსიები ტყიბულში, მაიაკოვსკში, საირმეში, გელათში. მაღაროელებმა დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები, გაეცნენ საწარმოთა მუშაკებს, ესაუბრნენ მათ.

ზ. ბიწაძე.

☐ დაბა აბაშის ცენტრში დღითიდღე იზრდება საკეპრო ობიექტების ქსელი. ეს დიდად უწყობს ხელს მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებას. ამ დღეებში სოფლის კოოპერატივის გამგეობამ დაბის ცენტრში გახსნა სამრეწველო საქონლის მაღაზია, სასაუზმე, ხოლო სოფელ ნორიოში სასადილო.

ივ. თოფურია.

ჯანსაღი ჰანგები

„ნაკადულმა“ ახლახან გამოსცა ახალგაზრდული სიმღერების კრებული „გაზაფხული“ (რედაქტორები ე. ეფსანიშვილი, ჯ. ჭანტურაია). ახალგაზრდობამ ძვირფასი საჩუქარი მიიღო. იგი ხელს შეუწყობს მომავალი თაობის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა მზარდ განვითარებას.

სიიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდობის ნაწილი გაიტაცა არაჯანსაღმა უშნაარსო, ეროვნულ და ხალხურ საფუძველს მოკლებულმა „მუსიკამ“, ჯაზომანიამ, აღმოსავლური ყაიდის ქუჩურმა სიმღერებმა, რაც უთუოდ დასაგმობი და მოუტევებელია.

ჯანსაღ, შინაარსიან მუსიკას შეუძლია აღძრას ახალგაზრდობაში კეთილშობილური თვისებები — მეგობრობის, სიყვარულის, პატრიოტიზმის, ურთიერთ პატივისცემის გრძნობები. სავსებით ნათელია, რომ სიმღერის მხატვრულ ღირსებას განსაზღვრავს როგორც ჰანგი, ისე სიტყვიერი ტექსტი. ახალგაზრდობისათვის დაწერილი სიმღერა მაღალიდეური, მელოდიური უნდა იყოს. სახოვანი უნდა იყოს მისი ტექსტიც.

მართებულად მოიქცნენ კრებულის ავტორები, რომ უპირატესობა მიანიჭეს ცნობილი ქართველი პოეტების ლექსების საფუძველზე აგებულ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებიც ცნობილ ქართველ კომპოზიტორებს შეუქმნიათ.

კრებულს თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. მასში თავის გამოხატულებას პოულობს მშვიდობის, პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის. სამშობლოს სიყვარულის თემები, რომლებიც ადამიანის სულიერ სამყაროს აფაქიზებენ.

ო. ჩიჯავაძე,
მუსიკათმცოდნე.

სანგრევში და სცენაზე

ტყიბული. (საკ. კორ.). აქ დიდი პოპულარობით სარგებლობს მეშახტე ახალგაზრდობის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებულია 12 ქალი და 33 ვაჟი. ახალგაზრდა კარგად უთავსებენ ერთმანეთს მიწიდან სანგრევებში. შრომას და სცენაზე მოღვაწეობას.

ანსამბლი ოსტატობით ასრულებს ისეთ ცეკვებს, როგორიც არის „ნადირობა და ლხინი“, „მხედრული“, „აჭარული სიუიტა“, „განდაგან“, „ძველი თბილისი“, „ცეკვა წყაროსთან“ და სხვ.

ამ დღეებში ტყიბულელ მეშახტეთა ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრა ქ. დონეცკში, სადაც გაიმართება ექვსი კონცერტი. შემდეგ იგი ესტუმრება ტულასა და ლუგანსკს. ხოლო მეშახტის დღეს — 25 აგვისტოს კონცერტს გამართავს მოსკოვში. ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობა ერთ თვეს გასტანს.

გზებს აშენებენ კოლმეურნეები

ხაშურის რაიონში წელს მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა აღგილობრივი გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. კაპიტალურად შეკეთებულია ბრეთ-დვანის, აბის-ატოცის, მოხისის, ქვაბისხევის, გუჯარეთის და სხვა გზები. სულ წელს რაიონში შეკეთებულია 36 კილომეტრი გზა, 12 ხიდი. წლის ბოლომდე ნავარაუდევია შეკეთდეს კიდევ 60 კილომეტრი გზა და 23 ხიდი.

აღსანიშნავია, რომ მთელი ეს სამუშაო შესრულებულია მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით. საგზაო მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ დვანის, გვერძნეთის, ფლევკის, ჭობისხევის, ოსიაურის და სხვა კოლმეურნეობები.

დ. ფარეიშოვი.



ანტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკა

ბოსკოვი, 23 აგვისტო (საკადესის კორ.). გამოიცა კრებული „ელინური პოეტები“, რომელის თარგმანი ეკუთვნის ვ. ვ. ვერესაევს. ამ წიგნით მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ დაიწყო ანტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის გამოცემა.

ბიბლიოთეკა რამდენიმე ათეული ტომისაგან იქნება შემდგარი. პირველად საბჭოთა მკითხველების ფართო წრეებს შესაძლებლობა მიეცემათ ასე სრულად გაეცნონ მარად ახალგაზრდა ანტიკურ კლასიკას. ილიადიდან საბერძნეთის გვიან პროზამდე, პლავტიდან ავზონიუსამდე — ასეთია შესანიშნავი წიგნების სერიის დიაპაზონი.

მკითხველთა დიდი პოპულარობა მოიპოვა სერიამ „ლიტერატურული ძეგლები“, რომელიც გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ. ამ სერიიდან უკვე გამოიცა იულიუს კეისრის „ჩანაწერები“, ხარიტონიუსისა და აპულეოსის პროზა, თეოკრიტეს იდილიები, ფედრასა და ბაბრიუსის იგავ-არაკები. საბჭოთა ფილოლოგების დიდი მუშაობის შედეგი იყო პლუტარქეს „შედარებითი ბიოგრაფიები“, რომლის უკანასკნელი მესამე ტომი გამოიცემა უახლოეს დროში.

მომავალში აკადემიური გამომცემლობა მიზნად ისახავს გამოსცეს ჰეროდოტეს, ოვიდიუსის, პეტრონიუსის, სენეკას, სვეტონიუსის და ძველი ბერძნის სხვა მწერალთა წიგნები.

ოთხი წლის მოჭადრაკე

ოთხი წლის გალელი მოჭადრაკის ამბავი რომ შეეტყო, გამიკვირდა, გადავწყვიტე ჩემი თვალით მენახა.

პატარა ზურიკო სოფია სახლში არ დაგხვდა. თავის ტოლებთან ერთად ბურთს თამაშობდა მეზობელ ეზოში...

ზურიკოს მამა — კოლმეურნე კალატოზი ლავრენტი სოფია გვიყვება:

— ოჯახში ძალიან გვიყვარს ჭადრაკი. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ჯარში ვისწავლე მისი თამაში. შემდეგ ჩემს ვაჟიშვილებს შევასწავლე. (ლავრენტის ხუთი შვილი ყავს. უფროსი ნუგზარი 22 წლისაა, ხოლო უმცროსი ზურიკო ახლა ოთხი წლისა და ოთხი თვისაა).

ერთი წლის წინათ პატარა ზურიკოს მისმა თერთმეტი წლის ძმამ ანზორმა ასწავლა თამაში. ჩვენ ყველას ეს ბავშვის უბრალო გართობა გვეგონა. მაგრამ მალე ყველა გაგვაოცა. ეროხეულ უფროსი ვაჟი თავის ამხანაგს ჭადრაკს ეთამაშებოდა. პატარა ზურიკო თვალს არ აშორებდა პარტიას. უცებ ზურიკო ძმას ეუბნება: „ეგრე არ ითამაშო, წაგებ“. ნუგზარმა დამცინავი ღიმილით შეხედა ძმიკოს — „ეგლა მაკლია — შენ მასწავლოო“, მაგრამ მოტყუედა. მალე დამარცხდა.

— აბა ახლა მე მეთამაშე, — სთხოვა ძმას და... ამ დღიდან ზურიკოს პარტნიორები მისი უფროსი ძმის ტოლები გახდნენ.

მალე თვით „ჭადრაკის ოსტატიც“ გამოჩნდა. შეეთამაშოთ თამაში. პასუხის ნაცვლად უხმოდ ჭადრაკი გამოიტანა. ძლივს აბობდა სკამზე, დაიკარა ხელი შავ და თეთრ პაიკს ზურგს უკან დამალა „აირჩიეო“...

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პატარა ზურიკო თამაშის დროს სვლების უბრალო ცოდნას როდი სჯერდება. წინასწარ აკეთებს 4-5 სვლის ანალიზს და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას.

პატარა „ჭადრაკის ოსტატი“ უეჭველად ყურადღების ღირსია.

ო. არაგელიძე.

სურათზე: ზურიკო სოფია.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საინტერესო თემაზე

უცნაური მხეცები

დაზგაზეა არნახული უცნაური მხეცის უზარმაზარი თავისქალა. არაჩვეულებრივი დატოტვილი რქები. ასეთივე მხეცის მეორე, უფრო დიდი თავისქალა ჯერ კიდევ სანახევროდ ჩამალულია თაბაშირში...

გიგანტურ ურჩხულთა ჩონჩხების ყუჩარავს დაზგა, მაგიდა, ფანჯრის რაფა. ოსტატს ხელთა აქვს ინსტრუმენტები: დიდი, საშუალო და მთლად პატარა ხვეწები, ნემსები, კვეთები, ხერხუნები, სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ქლიბები. სადურგლო წებოს, ცვილისა და საღებავების სუნი დგას...

ეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პალეონტოლოგიური ინსტიტუტის მოკანდაკე-რესტავრატორის იან მარტინის-ძე ეგლონის სახელოსნოა.

ახლა აქ საკვირველი მხეცების — ესტემენოზუხების ჩონჩხების რესტავრაცია ხდება. სწორედ ამ მხეცების თავისქალათა აღწერით დავიწყეთ ჩვენი თხრობა.

ესტემენოზუხები ცხოვრობდნენ პერმის პერიოდში, რომელიც ორას მილიონ წელიწადზე მეტი ხნის წინათ დაიწყო. ამ დროს ბევრი იყო სხვადასხვაგვარი წყალმელეთა ცხოველები. მაგრამ ესტემენოზუხი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ იპოვნეს ურალისპირეთში, არც ერთ ამ ცხოველს არა ჰგავს. ეს ნაპოვნი ავარეთოებს ჩვენს წარმოდგენას პერმის პერიოდის ფაუნაზე, მოწმობს ძველ ცხოველთა ფორმების მრავალსახეობას.

როცა სარესტავრაციო სამუშაოები დამთავრდება, ესტემენოზუხის სამმეტრიანი ჩონჩხი პალეონტოლოგიურ მუზეუმში გაიგზავნება. იქ მას რკინის კარკასზე დაამონტაჟებენ და პოსტამენტზე დადგამენ.

ამას წინათ იან მარტინის-ძის სახელოსნოდან მუზეუმში მიიღეს კიდევ უფრო საოცარი ცხოველის — რქიანი ღორის კუბანოგერუსის თაბაშირის ნაძერწი. ეს ცხოველი ცხოვრობდა მესამეულ პერიოდში, რომელიც 65-70 მილიონ წელიწადს გრძელდებოდა. ეს არის პირველი პერიოდი კაინოზოური ხანისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. თუ რა ცხოველები არსებობდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ეს მეცნიერებმა შეიტყვეს მხოლოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციის მუშაობის შედეგად. ექსპედიციამ ამ ღორის თავისქალის ნატეხები გათხრების დროს აღმოაჩინა ჩრდილოეთ კავკასიაში, სტანიცა ბელომეჩეტსკაიაში.

იან მარტინის-ძე მაშინ თბილისში ჩავიდა, თავისქალის ამ ცალკეული ნაჭრებიდან თაბაშირის ნაძერწები გააკეთა, ნახატის მიხედვით აღადგინა თავისქალა, ჩამოასხა იგი თაბაშირისაგან და ძვლის ფერად შეღება. ახლა მოსკოვში პალეონტოლოგიურ მუზეუმში შეიძლება ნახოთ რქიანი ღორის თავის ქალის ზუსტი პირი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ამ საინტერესო ცხოველზე.

იან მარტინის-ძის სარესტავრაციო სამუშაოები მრავალფეროვანია. რეკონსტრუირებული და თიხისაგან გამოძერწილია საშინელი მტაცებელი ტირანოზავრი. გაკეთდა სკულპტურა ეროპასის ჩონჩხის მიხედვით, რომელიც ტეხასში იპოვნეს, თაბაშირში აღდგენილია ნამარხი თევზის დრეპონასპისის სახე; შექმნილია მესამეული პერიოდის შუახანების გიგანტური ცხოველების — ტიტანოტერიუმისა და ენბულატერიუმის სკულპტურები. ლენინგრადის გეოლოგიურ მუზეუმში ი. მ. ეგლონმა მოახდინა ზემოცარცის ორფეხა ბალახმჭამელი ხვლიკის — ტრაქოდონტის ჩონჩხის რესტავრაცია. განსაკუთრებით საინტერესო იყო ძველი მარტორქის ელასმოტერიუმის აღდგენაზე მუშაობა. არსად და არასოდეს არ არის ნაპოვნი ამ ცხოველის სრული ჩონჩხი. და ეს სხვადასხვა ადგილას ნაპოვნი ძვლების დაქსაქსული ნაშთებიდან პირველად აღდგენილია მთელი ჩონჩხი.

იან მარტინის-ძის ნამუშევარი — ნამარხი ცხოველების თავისქალათა და ძვლის მულაჟები — იგზავნება საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების პალეონტოლოგიურ დაწესებულებებში და საზღვარგარეთ. მაგალითად, ინგლისის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, პოლონეთის, ინდოეთის, ჩინეთის, მონღოლეთის მუზეუმებმა თავიანთი კოლექციები შეავსეს ნამარხი ცხოველების თავისქალათა მულაჟებით, რომლებიც მოხუცმა მოქანდაკე-პალეონტოლოგმა გააკეთა.

იან მარტინის-ძე 74 წლისაა. მაგრამ დღესაც მზად არის რა დროსაც გნებავთ მოემზადოს გათხრებზე წასასვლელად. და შემდეგ ადამიანები თვალნათლივ დაინახავენ ისტორიამდელი ურჩხულების ჩონჩხებს — თავისებურ შედეგრებს, რომლებსაც ეს საოცარი მშრომელი და მხატვარი აკეთებს.

ა. ფეიგელი.

• • •

სურათზე: ეს ტარბოზავრი (მტაცებელი დინოზავრი) დაახლოებით 100 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა. მისი ჩონჩხი „მეორედ დაიბადა“.

ფოტო ვ. ბისტროვისა.

ამიუნხენის ფესტივალზე

ამ დღეებში კლასიკური მუსიკის ტრადიციულ ფესტივალზე, რომელიც ყოველი წლის შემოდგომაზე ეწყობა მიუნხენში, გაემგზავრება საბჭოთა მუსიკალურ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — მუსიკათმცოდნეები ვ. გვახარია, ეგვ. მაჭავარიანი, კომპოზიტორი ნ. სვანიძე.

ისინი გაეცნობიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებას, მოისმენენ გერმანულ კლასიკურ და თანამედროვე მუსიკას გამოჩენილი ოსტატების შესრულებით. (საქდესი).

ლიტერატურული ფურცელი

კლივის ტგაზე

სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადის შემდეგ ჩვენი ნიჭიერ ბუნებები იუგოსლავიას ეწვიენ. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამოდის 22 ქვეყნის 460-მდე სპორტსმენი, ისინი, რომლებმაც უნდა გაითამაშონ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

საბჭოთა გუნდს ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად თვლიან. მის შემადგენლობაში არიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ნიჭიერებები — ლ. გეიმტერი, ნ. გრუზინცევა, ს. მაკარენკო, ი. პისარევი, მ. შუბინა და სხვ.

ჩემპიონატის საზეიმო გახსნა მოეწყო გუშინ.

საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ და ნახევარფინალში გავიდნენ. მათ შორის არიან ვ. მოროზოვი, ი. ჰასანოვი და სხვ.

შტანგისტთა დიდი ფორუმის წინ

სპორტული სამყარო შეუნელებელი ინტერესით მოელის ძალოსანთა დიდ პაექრობას ფიცარნაგზე, ანუ მსოფლიოს პირველობის გათამაშებას, რომელიც 7 სექტემბერს დაიწყება სტოკჰოლმში.

სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაციამ გამოაქვეყნა საბჭოთა ნაკრების კანდიდატთა სია, რომელიც გამოვლენ სტოკჰოლმის ფიცარნაგზე. აი მათი შემადგენლობა: მსოფლიოს ჩემპიონები — ე. მინაევი (მოსკოვი, ქვემსუბუქი წონა), ი. ელასოვი (მოსკოვი, მძიმე წონა), ვ. კაპლუნოვი (ხაბაროვსკი, მსუბუქი წონა), ა. კურინოვი (ყაზანი, ქვესაშუალო წონა), აგრეთვე ს. ლოპატინი (მოსკოვი, მუბუქი წონა), რ. პლიუკფელდერი (დონის როსტოვი, საშუალო წონა), ა. ვახრინა (დონის როსტოვი, მჩატე წონა), ვ. ბელიაევი (უკრაინა, ქვესაშუალო წონა), ე. ბროვკო (უკრაინა, ქვემძიმე წონა), ლ. ჟაბოტინსკი (უკრაინა, მძიმე წონა).

ქალთა ოლიმპიადაზე

სექტემბრის მეორე ნახევრიდან იუგოსლავიაში შეიკრიბებიან უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა კოლექტივები, რათა აქ გაითამაშონ მეორე ოლიმპიადა, ანუ მსოფლიოს გუნდური პირველობა ვ. მენჩიკის სახელობის თასზე.

სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში არიან მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი ტ. ზატულოვსკაია და საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა (სათადარიგო მოთამაშე).

არასახარბიელო სტარტი

იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში ჭაბუკთა შორის. საბჭოთა კავშირიდან ჩემპიონატში გამოდის როსტოველი ა. ზახაროვი.

გუშინდლამდე გათამაშდა სამი ტური. მართალია, პირველ შეხვედრაში ა. ზახაროვმა დაამარცხა ნორვეგიელი ცვაიგი, მაგრამ მომდევნო ორ ტურში წარუმატებლად გამოვიდა. წააგო შეხვედრა გეორგიუსთან (რუმინეთი) გადადებულ პარტია, აგრეთვე სინგაპურელ ტანთან მესამე ტურის პარტია. სამი შესაძლებლიდან ა. ზახაროვს მხოლოდ ერთი ქულა აქვს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

გარდაცვლილი მოწმედ...

ამას რას ხედავს ჩემი თვალები! აღარა გვყავს ასკენაზი! რა კარგი მეზობელი, რა გულკეთილი ადამიანი დაგვეკარგა! არა, მისი სახელი დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის... — მიუსამძიმრა სახლის მფლობელმა დარჯან ალადაშვილმა დაქვრივებულ ჯაფარ კოსიანს.

ეს მოხდა წელს, 7 ივნისს საღამოს, ასკენაზ კოსიანის პანაშვიდზე.

მართლაც არ დაივიწყეს ასკენაზის სახელი. მეორე დღეს, 8 ივნისს, სახლის მფლობელ დ. ალადაშვილის და გარდაცვლილ ა. კოსიანის „ხელმოწერით“ ასეთი დოკუმენტი მეიქმნა:

„ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ასკენაზ და ჯაფარ კოსიანები, მეზობლის, სახლის მფლობელ დარჯან ალადაშვილის თანდასწრებით, ნამდვილად ვადასტურებთ, რომ ავტომანქანის ავარიის დროს ფრჩხილიც არ გეტკენია, თავს კარგად ვგრძნობთ, საავადმყოფოდანაც კარგად გამოვედით: მადლობა შრუნველობისათვის ავტომანქანის მძღოლს ვლადიმერ ნიკოგოსიანს. მის მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს“.

ცნობას გარდაცვლილ ა. კოსიანის მაგიერ ხელი მოაწერეს. მერე, ზუსტიაო, თქვა სასლის მფლობელმა და ქალაღი ავტომანქანის მძღოლს გადასცა. თან დაუმატა, ღმერთმა მშვიდობაში მოგამშაროსო.

ვ. ნიკოგოსიანი ოთახიდან კმაყოფილი გამოვიდა.

— ამ დოკუმენტით მგონი გადავრჩი. ისეთი ცნობაა, რომ ტყვიან, კლდეს გაარღვევს, ქვას გახეთქავს! — აღფრთოვანებით ამბობდა იგი და მიიჩქაროდა გარდაბნის აკტოინსპექციისაკენ.

— საქმე გაგიკვაჭავს, მეტი რა გინდა! — გზაზე ანუგეშებ ამხანაგებმა.

ნიკოგოსიანს მაინც ეშინოდა. გარდაცვლილი ასკენაზის ლანდი მოსვენებას არ აძლევდა, თითქოს მოსძახოდა: — ფრთხილად, ვლადიმერ! სამართალი თავის გზას არ დაკარგავს... არ შეგრჩება ჩემი მკვლელობა... სად გაგონილა, სად თქმულა ასეთი რამ: შვიდ ივნისს მკვდარი კაცი დამირეთ, რვა ივნისს გამაცოცხლეთ, დოკუმენტზე ხელი მომაწერინეთ! გახსოვდეს ტყვილს მოკლე ფეხები აქვს.

ასკენაზის დასაფლავების დღეს ბევრი მთქმა-მოთქმა იყო ამ ამბის შესახებ.

დავიწყოთ თავიდან:

...ორ ივნისს ქალაქ რუსთავის მიმართულებით მძღოლი ვლადიმერ სტეფანეს-ძე ნიკოგოსიანი ელვის სისწრაფით მიაჭროლებდა მამის კუთვნილ ავტომანქანა „მოსკვიჩს“.

მწვანე ხეივანთან ვლადიმერმა უხეშად დაარღვია ქუჩაში მოძრაობის უშიშროების წესები და ავტომანქანა თხრილში გადააგდო.

დაზარალებულ მგზავრებს ჯაფარ და ასკენაზ კოსიანებს სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს და თბილისის პირველ საავადმყოფოში მიიყვანეს.

მეტისმეტად ღელავდა მძღოლი ნიკოგოსიანი. ჩემი მგზავრები სასიკეთოდ არიან დასახიჩრებულნი, კარგი არაფერი მომელის, რა ვქნა, რა ვიღონო! — ფიქრობდა გულში და არ შორდებოდა საავადმყოფოს კარებს.

რა გულისხმიერი მძღოლი ყოფილაო, — ამბობდნენ ავადმყოფების მნახველნი.

საქმე თითქოს კარგად მიდიოდა. ექიმების რ. ბეზოდმილნაისა და ნ. ხოშტარიას დასტურით და უგრძნობი ავადმყოფის (!) ასკენაზ კოსიანის თხოვნით საავადმყოფოდან გაიწერა ორივე დასახიჩრებული.

ამრიგად, მძიმე ავადმყოფი ასკენაზ კოსიანი შინ მიიყვანეს. შვიდ ივნისს იგი გარდაიცვალა.

როცა ფაქტის წინაშე დადგნენ, მკურნალმა ექიმებმა ამ საზარელ ამბავს უბრალო „შეცდომა“ უწოდეს, თავის მართლება დაიწყეს. „ჩვენ რა გვეკვნა, იმიტომ გავწერეთ, რომ ავადმყოფებს ასე სურდათო“.

საჭიროა გაირკვეს, რა კავშირი ჰქონდა ასკენაზ კოსიანის უეცარ გაწერას მძღოლ ნიკოგოსიანის ჭირისუფლობასთან. მის დღედაღამ ტრიალთან საავადმყოფოში.

რაც შეეხება ყალბ ცნობას გარდაცვლილი ასკენაზის ხელმოწერით, ნიკოგოსიანმა მოხერხებულად გამოიყენა გარდაბნის ავტოინსპექციის მუშაკების მოსაატყუებლად და მძიმე შედეგიანი ავარიის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ნაცვლად ერთი წლით მძღოლის უფლების ჩამორთმევა აკმარეს.

ვლადიმერ ნიკოგოსიანი სიხარულით ცას ეწია:

— საქმის გაჩარხვაც ამას ჰქვია. „გათავდა ყველაფერი... მკვდარი უკან არ მობრუნდება. ასკენაზმა ჩემი ჭირი წაიღო. ამიერიდან ხმის გამცემი აღარავინა მყავს.

მართლაც, პირველ ხანებში თითქოს ყველაფერი მიწყნარდა. ნიკოგოსიანმა თავის დაძვრენის „მაღარიჩი“ გადაიხადა. მაგრამ... ნათქვამია, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო...

და აჰა, მძღოლი ვ. ნიკოგოსიანი თბილისის მილიციის სამმართველოს მუშაკებმა „მიიპატიჟეს“. მან წარბშეუხრელად წარადგინა სახლის მფლობელის დ. ალადაშვილის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული დოკუმენტი, რომ „ა. კოსიანი თავს კარგად გრძნობს, არც მას და არც მის მეუღლეს მძღოლთან სასაყვედურო არა აქვთ რა“.

— კი მაგრამ ასკენაზ კოსიანი ხომ გარდაიცვალა... მაშ, საიდან გიწერს ხელს ცნობაზე? — კითხა ნიკოგოსიანს გამომძიებელმა დ. სვანაძემ.

მძღოლი დაიბნა...

დაიბნა ექიმიც, ექთანიც. სახლის მეპატრონეც... გარდაბნის ავტოინსპექტორებიც...

ახლა საგამომძიებლო ორგანოები ნათელს ფენენ ამ დაბნეულობას...

შ. ჩხატარაშვილი,
ა. გოცირიძე.

ქომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 პ მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-